



## საინფორმაციო ბიულეტენი



### შინაარსი:

- ევროკავშირმა საქართველოდან ექსპორტირებულ თხილში აფლატოქსინის კონტროლის მექანიზმები შეამსუბუქა
- 2024 წლის პირველ ნახევარში სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სურსათის უვნებლობის სფეროში 20 000-ზე მეტი სახელმწიფო კონტროლი განახორციელა
- სურსათის ეროვნული სააგენტო შავიზღვისპირა კურორტებზე საზოგადოებრივი კვების ობიექტებს ამონებს
- სურსათის უვნებლობის დღე საქართველოში მასშტაბურად აღინიშნა
- საზოგადოების ინფორმირების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები და გასაჯაროებული დარღვევები
- სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ ბასილაძე ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) ევროპის რეგიონული კომისიის ვიცეპრეზიდენტად მეორედ აირჩიეს
- 2024 წლის 1 აგვისტოდან, აშშ-ში ძაღლების გაყვანასთან დაკავშირებით ახალი წესები ამოქმედდება
- ცხოველის ჯილხით სიკვდილის შემთხვევაში მეპატრონეები სახელმწიფოსგან ფულად კომპენსაციას მიიღებენ
- საქართველოდან აზერბაიჯანში ცხვრის ექსპორტი აქტიურ ფაზაში მაისის ბოლოდან შევიდა
- საქართველოში ვეტერინარიის მსოფლიო დღე აღინიშნა
- 2024 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, აფლატოქსინით დაბინძურებული ცხოველის საკვების გამოყენება იკრძალება
- იტალიური კალიისა და ამერიკული თეთრი პეპლის სანინააღმდეგო ღონისძიებები აღმოსავლეთ საქართველოში
- სურსათის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აზიური ფაროსანას სანინააღმდეგო ღონისძიებებს ოქტომბრის ბოლომდე განახორციელებს
- სურსათის ეროვნული სააგენტო ლაბორატორიული კვლევისთვის აგროქიმიკატებისა და პესტიციდების 500-მდე ნიმუშს აიღებს.

# ევროკავშირმა საქართველოდან ექსპორტირებულ თხილში აფლატოქსინის კონტროლის მექანიზმები შეამსუბუქა



ევროკომისიის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატის წარმომადგენლებმა (DG SANTE) 2023 წლის სექტემბერ-ოქტომბერში, ქართულ თხილში აფლატოქსინების სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებით, აუდიტი განახორციელეს.


სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ევროკომისიის აუდიტორებს მიაწოდა სათანადო დოკუმენტაცია და ინფორმაცია იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში ხორციელდება. წარდგენილი იყო საექსპორტოდ განკუთვნილი პროდუქციის შემოწმების სრული ჯაჭვი. სახელმწიფო კონტროლის სისტემის ეფექტიანობა ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე შეფასდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტთა ჯგუფმა, აუდიტორების რეკომენდაციებზე დაყრდნობით, შეიმუშავა და წარადგინა სამოქმედო გეგმა, რომელიც დირექტორატის წარმომადგენლებმა მოიწონეს.

შედეგად, ევროკომისიის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალურმა დირექტორატმა (DG SANTE) ქართულ თხილში აფლატოქსინების კონტროლის სახელმწიფო სისტემა დადებითად შეაფასა და, შესაბამისად, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებულ თხილსა და მისგან წარმოებულ სურსათში აფლატოქსინების კონტროლის პროცენტული მაჩვენებელი 30-დან 20%-მდე შემცირდა, რაც ქართული თხილის ხარისხის გაუმჯობესებაზე მიანიშნებს და საქართველოში აფლატოქსინის კონტროლის მექანიზმების დახვეწით არის განპირობებული.

გადაწყვეტილება ევროკავშირის 2019/1793 რეგულაციის მეათე განხილვაზე ევროპის კავშირის მცენარეთა, ცხოველთა, სურსათისა და ცხოველის საკვების კომიტეტმა მიიღო. კონტროლის მექანიზმების შერბილება ევროკავშირის წევრი ქვეყნების საზღვარზე გამოვლენილი შედეგების გათვალისწინებით განხორციელდა.





# სურსათის უვნებლობა

## 2024 წლის პირველ ნახევარში სურსათის ეროვნულმა სააგენტომ სურსათის უვნებლობის სფეროში 20 000-ზე მეტი სახელმწიფო კონტროლი განახორციელა



სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ ინსპექტირება განხორციელდა საბავშვო ბაღებისა და სკოლების კვების ბლოკებში, ხორცისა და რძის პროდუქტების სარეალიზაციო, ასევე, ნედლი რძის თერმული დამუშავების ობიექტებში, ცხოველის/ფრინველის სასაკლაოებზე, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში და ა.შ. აღინიშნა შემდეგი შეუსაბამობები: სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა, ხორცი ჯანმრთელობის ნიშანდების გარეშე; ტექნოლოგიური პროცესის, ეტიკეტირებისა და მიკვლევადობის წესებისა და რეალიზაციის ვადების დარღვევა.

სახელმწიფო კონტროლის შედეგად, სულ გამოვლინდა 1643 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა შორის ჭარბობს ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა. მონიტორინგის ფარგლებში აღებულია სურსათის/სასმელი წყლის 3000-მდე ნიმუში/სინჯი.

### სურსათის ლაბორატორიული კვლევისას არ გამოვლენილა შემდეგი დარღვევები:

- პესტიციდების ნახიჩენები მცენახეულ და ცხოველუხ სუხსათში (შემოწმდა 177 ნიმუში);
- ტრანსცხიმები (შემოწმდა 55 ნიმუში);
- გმო (შემოწმდა 20 ნიმუში);
- დისტეხია (შემოწმდა 110 ნიმუში);
- კადციუმის შემცველობა ხოხცის პიოლუქტებში (შემოწმდა 23 ნიმუში);
- ჰისტამინი თევზში (შემოწმდა 81 ნიმუში);
- ტყვია ბავშვთა კვებასა და ცხოველუხ სუხსათში (შემოწმდა 37 ნიმუში).



აღსანიშნავია, რომ ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევისას შემოწმებულ 96 ნიმუშში ვირისა და ცხენის ხორცი არ დაფიქსირებულა და გამოვლინდა მხოლოდ ერთი დარღვევა - ფრინველის დნმ;

რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრისთვის აღებული 153 ნიმუშიდან მხოლოდ 4-ში; ხოლო ნედლი რძის 93 ნიმუშიდან ბრუცელოზი აღმოჩნდა 5 ნიმუშში, რის შესახებაც ეცნობა ბიზნესოპერატორს და შესაბამისი გამოკვლევის დასრულებამდე აკრძალა რძის მიღება.

მიმდინარე წლის განმავლობაში სურსათის ეროვნულ სააგენტოს სურსათის/სასმელი წყლის 6000-ზე მეტი ნიმუშის/სინჯის აღება აქვს დაგეგმილი.

# სურსათის ეროვნული სააგენტო შავიზღვისპირა კურორტებზე საზოგადოებრივი კვების ობიექტებს ამოწმებს



საკურორტო ზონებში, ადგილობრივი მოსახლეობისა და დამსვენებლების ჯანმრთელობისა და უფლებების დაცვის მიზნით, საზოგადოებრივი კვების ობიექტების კონტროლი აქტიურად მიმდინარეობს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებმა, როტაციის პრინციპით, ტურისტებით დატვირთულ რეგიონებში - გურიასა და აჭარაში - ურეკში, შეკვეთილში, ბათუმში, ქობულეთში, გონიოში, კვარიათში, სარფსა და მაღალმთიან აჭარაში კაფე-ბარები, რესტორნები, სასტუმროების კვების ბლოკები, საცხობები და სწრაფი კვების ობიექტები შეამოწმეს. სახელმწიფო კონტროლი განხორციელდა 200-ზე მეტ ბიზნესოპერატორთან.

ინსპექტირების შედეგად კრიტიკული შეუსაბამობები გამოვლინდა 10 ობიექტში, რის გამოც გატარდა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები - ბიზნესოპერატორები დაჯარიმდნენ და შეუჩერდათ საწარმოო პროცესი შეუსაბამობების აღმოფხვრამდე.

შემომდების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სურსათის ვადებს, ეტიკეტირებას, შენახვისა და რეალიზაციის პირობებს, სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს, მიკვლევადობას.

სურსათის ეროვნული სააგენტო, სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან დაკავშირებით, ბიზნესსექტორის ინფორმირებისა და საწარმოო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად გასცემს რეკომენდაციებს, ხვდება დაინტერესებულ მხარეებს და უახლეს ინფორმაციას აწვდის მათ.

შედეგად, საზოგადოებრივი კვების ობიექტებში, წინა წლებთან შედარებით, მდგომარეობა მკვეთრად არის გაუმჯობესებული, რასაც მოწმობს მომხმარებელთა გამოკითხვა და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული ყოველწლიური სახელმწიფო კონტროლის შედეგები.

სურსათის ეროვნული სააგენტო საზოგადოებრივი კვების ობიექტების კონტროლს ტურისტულ სეზონზე როტაციის პრინციპით 2018 წლიდან ახორციელებს.





გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, სურსათის უვნებლობის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, 7 ივნისს არაერთი საინფორმაციო და შემეცნებითი აქტივობა გაიმართა.

თბილისში, რიყის პარკში, ქართული წარმოების სასურსათო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა მოეწყო; გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ჩართულობით, მოსწავლეებისთვის ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე: „სურსათის უვნებლობა - მითები და ფაქტები“.

ლონისძიებას ესწრებოდა და მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ კახა კაკაბაძემ.

„სურსათის უვნებლობის დღეს ვულოცავ სურსათის ეროვნული სააგენტოს ყველა თანამშრომელს, ბიზნესოპეჩატოებს, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, ჩვენს პატივსაცემებს, ასევე ჩვენს პატრონებს, რომლებმაც დღევანდელ ღონისძიებაზე მოისმინეს, ხამდენად მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა მათი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის. სააგენტოს სპეციალისტებისგან მიღებული ინფორმაცია მათ მომავალში სწორი ახრევანის გაკეთებაში დაეხმარება“, - აღნიშნა კახა კაკაბაძემ.

სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფაში ყველა რგოლის გაერთიანებისა და ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ ბასილაძემ.

„ქვეყანაში სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ყველა ხგოლის ჩართულობას, კოორდინირებულ მუშაობასა და თანამშრომლობას. ამ პირობებში უმნიშვნელოვანესი როლი და ფუნქცია აკისრია სურსათის ეროვნულ სააგენტოს. ჩვენი ინსპექტორები ყოველწლიურად 30 000-ზე მეტ სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ, მუდმივ კომუნიკაციაში ახიან ბიზნესოპეჩატოებსა და მომხმარებლებთან, აცნობენ მათ სურსათის უვნებლობის ახალ საკანონმდებლო მოთხოვნებს, უზიარებენ მნიშვნელოვან სიახლეებს. ჩვენს საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სურსათის უვნებლობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვისთვის ახაეითი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა. შედეგად, გამოვდენიდი დახდევების პირობები მაჩვენებელი ყოველწლიურად მცირდება“, - აღნიშნა ვასილ ბასილაძემ.



ლონისძიებას ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მასში შემავალი უწყებების, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს, სამეცნიერო წრეების, ბიზნესსექტორის წარმომადგენლები და მოსწავლეები.

წელს სურსათის უვნებლობის მსოფლიო დღის გზავნილია „მეხვდი მზად სურსათისმიერ საფრთხეებს“, რაც ყურადღებას სურსათის მოხმარებასთან დაკავშირებული პოტენციური რისკების განსაზღვრასა და მათი თავიდან აცილების გზებზე ამახვილებს. მნიშვნელოვანია, მოსახლეობამ და ბიზნესმა იცოდეს, როგორ შეიძინოს, მოამზადოს და მოიხმაროს სურსათი უვნებლად და როგორ მოიქცეს სურსათისმიერი მოწამვლის შემთხვევაში.

სურსათის უვნებლობის მსოფლიო დღე გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ინიციატივით, 2019 წლიდან ყოველწლიურად 7 ივნისს აღინიშნება.


# საზოგადოების ინფორმირების სტანდარტული ოპერაციული პროცედურები და გასაჯაროებული დარღვევები

- შაურმაში აერობული მიკროორგანიზმები გამოვლინდა
- საშაურმეს სანარმოო პროცესი შეუჩერდა
- ქათმის ფილეს ნიმუშებში სალმონელა გამოვლინდა
- გაყინული პელმენის ნიმუშში სალმონელა გამოვლინდა
- კვებითი ინტოქსიკაციის სავარაუდო ფაქტზე სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ქობულეთში საშაურმე შეამონმა
- ქობულეთის საშაურმეში აღებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევის შედეგები ცნობილია
- ბოსტნეულის 11 და ნესვის 2 ნიმუშში ნიტრატების გადაჭარბებული შემცველობა გამოვლინდა
- სალმონელობის გამოვლენის გამო სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მოკვლევა დაიწყო
- ქ. წნორში ნახევარფაბრიკატის ნიმუშში სალმონელა გამოვლინდა
- ხამანკებში სალმონელა და ნანღავის ჩხირის ჯგუფის ბაქტერია (E.COLI) გამოვლინდა
- ხმელ სუნელში ტყვიის მაღალი შემცველობა დაფიქსირდა.

The grid contains 12 cards, each with the following structure:

- Column 1:** Agency logo and name: საქართველის შაურმაში სააგენტო.
- Column 2:** Title: ბანსხალება.
- Column 3:** Date (e.g., 07.04.2019, 15.04.2019, 24.07.2019, 01.04.2019, 02.04.2019, 01.04.2019).
- Column 4:** Brief description of the incident.





# ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ ბასილაძე ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) ევროპის რეგიონული კომისიის ვიცე-პრეზიდენტად მეორედ აირჩიეს



პარიზში გამართულ ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WOAH) ასამბლეის 91-ე გენერალურ სესიაზე საქართველოს დელეგატი, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ ბასილაძე ევროპის რეგიონული კომისიის ვიცე-პრეზიდენტად, ხმათა უმრავლესობით, მეორედ აირჩიეს.

ორგანიზაციის წევრი 183 ქვეყნის წარმომადგენლებმა, ექსპერტებმა და პარტნიორებმა საქართველოს დელეგატის ერთწლიანი საქმიანობა დადებითად შეაფასეს და აღნიშნული მანდატი ამჯერად სამი წლის ვადით მიანიჭეს.

„წელს, როცა ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია დაახლოებით 100 წლის იუბილეს აღნიშნავს, კიდევ ერთხელ გავსვა ხაზი, რომ მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონული წარმომადგენლების ჩართულობა იმ საერთაშორისო მიზნების მიღწევაში, რაც ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფას გულისხმობს. აღსანიშნავია ამ მხრივ საქართველოს პოზიციები. ჩვენ მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ ცხოველთა ჯანდაცვის უზრუნველყოფისა და ეფექტიანი მართვის მექანიზმების დანერგვასა და გამოყენებას,“ - აღნიშნა ვასილ ბასილაძემ.

სესიის ფარგლებში, გაიმართა გენერალური დირექტორის არჩევნებიც. ამ პოზიციაზე 5 წლის ვადით ემანუელ სოუბერნი აირჩიეს.

ცხოველთა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში (WOAH) 183 წევრი ქვეყანაა გაერთიანებული. ორგანიზაცია წამყვან როლს ასრულებს და განსაზღვრავს ვეტერინარულ პოლიტიკას მსოფლიოში; ზედამხედველობას უწევს მისი იმპლემენტაციის პროცესს. WOAH-ის საერთაშორისო სტანდარტებით რეგულირდება ცხოველთა 120-ზე მეტი დაავადება, მათ შორის, ზოონოზები (ადამიანისა და ცხოველის საერთო დაავადება), რომლებიც რეგულარულად ექვემდებარება განახლებას და მტკიცდება გენერალურ სესიაზე. აღნიშნული სტანდარტები ქვეყნებს ეხმარება დაავადებების უარყოფითი ზემოქმედების შემცირებასა და ცხოველებითა და ცხოველური პროდუქტებით უსაფრთხო ვაჭრობის უზრუნველყოფაში.

ამერიკის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) მიერ, ცოფის გავრცელების რისკის თავიდან აცილების მიზნით, პერიოდულად იცვლება ძაღლების გაყვანის მოქმედი რეგულაციები.

მიღებული ახალი წესების თანახმად, სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემულ ვეტერინარულ სერტიფიკატთან ერთად, სავალდებულოა ამერიკის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის (CDC) მიერ შემუშავებული სპეციალური სასერტიფიკატო ფორმის შევსება.



აღნიშნული სერტიფიკატის ფორმას ავსებს სახელმწიფო ვეტერინარი, რაც დამონმებული უნდა იყოს ხელმოწერითა და სურსათის ეროვნული სააგენტოს ბეჭდით.

CDC-ის სერტიფიკატისთვის სავალდებულო ინფორმაცია მოიცავს:

- მფლობელის ან ძაღლის გადამყვანის, ასევე მიმღების სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონის ნომერსა და ელფოსტას;
- ცხოველის სახელს, ჯიშს, სქესს, ფერს ან/და რაიმე დამახასიათებელი ნიშანს; დაბადების თარიღს; ISO-ს შესაბამისი მიკროჩიპის ნომერს და მიკროჩიპის იმპლანტაციის თარიღს;
- ინფორმაციას ცოფის სანინაალმდეგო ვაქცინის შესახებ (ვაქცინის დასახელება, მწარმოებელი, ლოტის (სერიის) ნომერი და ვარგისიანობის ვადა, ვაქცინაციის თარიღი, მომდევნო ვაქცინაციის თარიღი);
- სახელმწიფო ვეტერინარის მიერ ელექტრონული ხელმოწერით ან სველი ბეჭდით დამონმებულ ცოფის სეროლოგიური კვლევის შედეგებს (სეროლოგიური კვლევა უნდა ჩატარდეს ცოფის ვაქცინაციიდან 30 დღის შემდეგ, ცხოველის გაყვანა საზღვარზე შესაძლებელია ლაბორატორიული დასკვნის მიღებიდან 45 დღის შემდეგ), რომელიც ჩატარდა CDC-ის მიერ აღიარებულ ლაბორატორიაში;
- ვეტერინარის მიერ ძაღლის ფიზიკური დათვალიერების შესახებ აქტის შევსებასა და ხელმოწერით დასტურს.

ზემოაღნიშნული პირობების შეუსრულებლობა შესაძლოა გახდეს ძაღლის უკან გამობრუნების ან აშშ-ში შესვლაზე უარის თქმის საფუძველი (მფლობელის ან იმპორტიორის ხარჯზე).

სერტიფიკატის ფორმა განთავსებულია სურსათის ეროვნული სააგენტო ვებგვერდზე:

<https://nfa.gov.ge/Ge/Files/Download/6061>





კომპენსაციის გადახდისა და ოდენობის განსაზღვრის შესახებ წესი 2024 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა (საქართველოს მთავრობის №332 დადგენილება).

კომპენსაციის მიღებას შეძლებენ ის პირები:

- რომელთა პირუტყვიც იდენტიფიცირებულია საყურე ნიშნით და აღრიცხულია ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მიკვლევადობის ეროვნულ სისტემაში (NAITS);
  - რომლებსაც უარი არ აქვთ ნათქვამი ცხოველის ვაქცინაცია/რევაქცინაციაზე.
- ცხოველის მფლობელი/მომვლელი ვალდებულია, ცხოველის სიკვდილის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სურსათის ეროვნულ სააგენტოს. კომპენსაცია გაიცემა ჯილხის ლაბორატორიულად დადასტურების შემთხვევაში.



კომპენსაცია არ გაიცემა, თუ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (ცხოველის ჯილხის საწინააღმდეგო ვაქცინაცია/რევაქცინაცია) პასუხისმგებელმა პირმა უარი განაცხადა ცხოველის ვაქცინაციაზე და არსებობს სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ გაკეთებული ჩანაწერი პასუხისმგებელი პირის მხრიდან უარის განცხადების თაობაზე.

კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს და გასცემს სურსათის ეროვნული სააგენტო.

გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოს მიერ შექმნილი კომისია, ჯილხით ცხოველის სიკვდილის დადასტურებიდან ერთი თვის ვადაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ ცხელ ხაზზე - 1501.

კომპენსაციის ახალი წესის ამოქმედება შესაძლებელი გახდა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციისა და მიკვლევადობის ეროვნული სისტემის (NAITS) პროექტის ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ერთობლივი მუშაობის შედეგად. NAITS-ის ფინანსური მხარდამჭერები არიან შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობა (ADC).

დაავადება ჯილხის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე: <https://nfa.gov.ge/Ge/AnimalDiseases/Details/2>



## ევროკომისიამ სურსათის ეროვნული სააგენტოს დაავადება „თურქულის“ საწინააღმდეგო 1 მლნ ვაქცინა გადასცა

აღნიშნული ვაქცინებით სურსათის ეროვნული სააგენტო რისკის ზონებში ატარებს ცხოველთა პროფილაქტიკურ ვაქცინაციას თურქულის ახალი შტამის (SAT-2) საწინააღმდეგოდ, რომელიც გავრცელებულია რეგიონში, თუმცა, საქართველოში არ ფიქსირდება.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის ვასილ ბასილაძის განცხადებით, ევროპელი პარტნიორებისათვის მნიშვნელოვანია საქართველოს როლი რეგიონის ვეტერინარული კეთილსაიმედოობის შენარჩუნებაში.

დაავადება „თურქულისგან“ თავისუფალი ქვეყნის სტატუსის მისაღებად საქართველოს ერთი საფეხური ამორებს, თუმცა, საქართველო „თურქულის“ წინააღმდეგ ბრძოლაში უკვე აღიარებულია როგორც ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა რეგიონში.

სურსათის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, თურქულის საწინააღმდეგოდ, ყოველწლიურად 2 მილიონზე მეტ მანიპულაციას (ვაქცინაცია/რევაქცინაცია) ატარებს.



## საქართველოდან აზერბაიჯანში ცხვრის ექსპორტი აქტიურ ფაზაში მაისის ბოლოდან შევიდა



ქვეყანაში წვრილფეხა პირუტყვის ჭირის გავრცელების საფრთხე აღარ არსებობს, შესაბამისად, აზერბაიჯანის მხრიდან ცხვრის ექსპორტზე დაწესებული შეზღუდვები მოხსნილია.

მიმდინარე წელს, წვრილფეხა პირუტყვის ჭირის ლაბორატორიულად დადასტურებისთანავე, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ოპერატიულად გაატარა დაავადების სალიკვიდაციო ღონისძიებები, რაც გულისხმობს ცხოველთა გადაადგილებაზე ზედამხედველობის გაძლიერებას, ვაქცინაციას, დეზინფექციას და სხვა შესაბამის აქტივობებს.

სააგენტომ ინფორმაცია დროულად მიაწოდა ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას. დაავადებასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) სააგენტოს უსასყიდლოდ გადასცა 1 მლნ დოზა ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინა და დამხმარე აღჭურვილობა.

სურსათის ეროვნული სააგენტო მუდმივ კომუნიკაციაშია ფერმერებთან, მეცხვარეთა ასოციაციასთან და ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს, გასცემს რეკომენდაციებს ფერმებში ბიოუსაფრთხოების ზომების, ცხოველის სადგომის სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მნიშვნელობაზე და ინფექციური და პარაზიტული დაავადებების საწინააღმდეგოდ გასატარებელ პრევენციულ ღონისძიებებზე, რაც ეხმარება ფერმერებს, თავიდან აირიდონ ცხოველების დაავადებითა და სიკვდილიანობით გამოწვეული ეკონომიკური ზარალი.

აღსანიშნავია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო აქტიურად თანამშრომლობს ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან (WOAH). ორგანიზაციის ექსპერტების რეკომენდაციებით ტარდება შესაბამისი ღონისძიებები.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებითა და USDA-SQIL პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ მხარდაჭერით, ვეტერინარებმა პროფესიული დღე მასშტაბური კონფერენციით აღნიშნეს. მონაწილეებმა 2024 წლის პრიორიტეტული მიმართულებები განიხილეს და სხვადასხვა დაავადებასთან მიმართებით არსებულ ახალ რეგულაციებსა და მიდგომებზე იმსჯელეს.

აუდიტორიას მისასალმებელი სიტყვით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ კახა კაკაბაძემ მიმართა.



„გაჩემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელით, ჩვენს ვეტერინარებს ვულოცავ პროფესიულ დღეს. სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარები უმნიშვნელოვანეს საქმეს ასრულებენ - წელიწადში 6 მილიონზე მეტ მანიპულაციას აგაჩემებენ და სეჩიოზური წვდილი შეაქვთ ცხოველების და, შესაბამისად, ადამიანების ჯანმრთელობის დაცვაში“; - აღნიშნა კახა კაკაბაძემ.

ვეტერინარებს პროფესიული დღე სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა ზურაბ ჩეკურაშვილმა მიულოცა და ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის უზრუნველსაყოფად განეული შრომისთვის სააგენტოს სპეციალისტებს მადლობა გადაუხადა.

კონფერენციაზე მოწვეულმა სტუმრებმა მოისმინეს პრეზენტაციები თემებზე: 2024 - მსხვილფეხა საქონლის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის გაძლიერებული მიდგომის წელი; პირველადი წარმოების კითხვარი, აფლატოქსინის კონტროლი; სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ინფექციური დაავადებების კონტროლი; ახალი რეგულაციები და მიდგომები ბრუცელოზთან, ტუბერკულოზთან და ლეიკოზთან მიმართებაში.

ღონისძიებას პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის, აგრარულ საკითხთა კომიტეტის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მასში შემავალი უწყებების - სურსათის ეროვნული სააგენტოს, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის, თბილისის მონიტორინგის სააგენტოს, შემოსავლების სამსახურის, აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, საერთაშორისო ორგანიზაციების, მეცნიერებათა აკადემიის, არასამთავრობო სექტორის, დარგობრივი ასოციაციების წარმომადგენლები, ვეტერინარები, ფერმერები და სტუდენტები ესწრებოდნენ.



ვეტერინარიის მსოფლიო დღე 2000 წელს ვეტერინარიის მსოფლიო ასოციაციის ინიციატივით დაწესდა და ყოველწლიურად აპრილის ბოლო შაბათს აღინიშნება. ამ დღის მიზანია, ხელი შეუწყოს პროფესიის პოპულარიზაციას, აღიაროს და დააფასოს ვეტერინარების მნიშვნელოვანი წვლილი საზოგადოებრივ ჯანდაცვაში და გაზარდოს ცნობიერება ვეტერინართა საქმიანობის შესახებ. წლევანდელი გზავნილია: „ვეტერინარი - ერთიანი ჯანდაცვის მნიშვნელოვანი რგოლი“, რაც ხაზს უსვამს აღნიშნული დარგის როლს არა მხოლოდ ცხოველთა, ასევე ადამიანთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაში.

USDA-SQIL პროექტს ახორციელებს ამერიკული ორგანიზაცია Land O'Lakes Venture37, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით, ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ფინანსური მხარდაჭერით.

## 2024 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე, აფლატოქსინით დაბინძურებული ცხოველის საკვების გამოყენება იკრძალება

საქართველოს მთავრობის №59 დადგენილება - „ტექნიკური რეგლამენტი - ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობის დამტკიცების შესახებ“ ავალდებულებს ყველა ფერმერს, დაიცვას ცხოველის საკვების შენახვისა და ტრანსპორტირების პირობები, რათა არ მოხდეს საკვების აფლატოქსინით დაბინძურება.

აფლატოქსინი ობის სოკოებისაგან წარმოიქმნება. დაბინძურებული საკვების მიღებით, აფლატოქსინი ხვდება ცხოველის ორგანიზმში და გადადის რძეში, გარდაიქმნება ტოქსინად და საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

ახალი რეგულაციის შესახებ ფერმერთა ინფორმირების მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარებმა შეხვედრები მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართეს დარგობრივ ასოციაციებთან, რომლებიც ათასობით ფერმერს აერთიანებს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, ლაბორატორიული კვლევის შედეგად, აფლატოქსინი გამოვლინდა რძის 9 ნიმუშში, 2023 წელს კი 14 ნიმუშში; აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა შესაბამისი რეგულაციის დაჩქარებულად მომზადებისა და ამოქმედების აუცილებლობა.

საქართველოს მთავრობამ 2024 წლის 29 თებერვალს მიიღო დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ცხოველთა საკვებში არასასურველი ნივთიერებების შემცველობის დამტკიცების შესახებ, რომელიც მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა.





# მცენარეთა დაცვა

## იტალიური კალიისა და ამერიკული თეთრი პეპლის სანინააღმდეგო ღონისძიებები აღმოსავლეთ საქართველოში

სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვისა და მოსახლეობისთვის ზარალის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო აღმოსავლეთ საქართველოში საშიში მავნებლების - იტალიური კალიისა და ამერიკული თეთრი პეპლის სანინააღმდეგო ღონისძიებებს ატარებს.

კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში მობილიზებულია სპეციალური ტექნიკა. ტერიტორიები სამანქანე დანადგარებით მუშავდება. აღმოსავლეთ საქართველოში კალიების სანინააღმდეგოდ 12 000 ჰა ფართობია დამუშავებული.



პროგრამის „კალიებთან ბრძოლის გაუმჯობესება კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ეროვნულ და რეგიონულ დონეზე“ ფარგლებში, სურსათის ეროვნულ სააგენტოს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) მაღალი გამავლობის სპეციალიზებული ტექნიკა გადასცა. პროექტის ფინანსური მხარდაჭერია აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID).

მაღალი გამავლობის სპეციალიზებული ტექნიკა საშუალებას აძლევს სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებს, კალიების მონიტორინგი დიდ ფართობზე ეფექტიანად განახორციელონ, რაც ხელს შეუწყობს კალიების პოპულაციის მართვას.

უსაფრთხოების წესების სრული დაცვით მიმდინარეობს ამერიკული თეთრი პეპლის სანინააღმდეგო ღონისძიებები კახეთის რეგიონში - გურჯაანის, ყვარლისა და თელავის მუნიციპალიტეტებში. ივლისის მონაცემებით, დამუშავებულია 800 ჰა-მდე ფართობი.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დამცველები მავნებლების გავრცელების არეალს ადგენენ მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, რის შემდეგაც იგეგმება წამლობითი ღონისძიებები.



სურსათის ეროვნული სააგენტო სახელმწიფო პროგრამის „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა“ ფარგლებში იტალიური კალიისა და ამერიკული თეთრი პეპლის სანინააღმდეგო ღონისძიებებს ყოველწლიურად ახორციელებს.

სააგენტოს მიერ ჩატარებული თანმიმდევრული სამუშაოების შედეგად, მიმდინარე წელს იტალიური კალიის გავრცელების არეალი რეგულირებადი და რაოდენობა - შემცირებულია, ხოლო დასავლეთ საქართველოში ამერიკული თეთრი პეპლის გავრცელების მხოლოდ ერთეული შემთხვევებია გამოვლენილი.

იტალიური კალია და ამერიკული თეთრი პეპელა აზიანებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, ანადგურებენ მწვანე საფარს და ნარგავებს.



სუხსათის ეროვნულმა სააგენტომ, FAO-ს მხაჰდაჭეხით, დაწეჰა პესტიციდების მციჰე ჰაოღენობით გამოყენების თანამეღხოვე მეთოდები მციჰე მოცუდობის შესხუების აგეგაგების მეშვეობით. კადიების წინააღმდეგ გამოიცადა ახადი, მალადეფექტუი პეჰპაჰაგები, მათ შოჰის ბიოდოგეჰი პეჰპაჰაგი, ჰომდის გამოყენებაც შესაძლებელია დაცუდ გეჰიგოჰიებსა და წყადსაგვეების სიახდოვეს.

საქაჰთვედო ეჰთადეჰი ქვეყანაა ჰეგიონში, სადაც 5 წდის განმავდობაში ხოჰციედება პესტიციდების ნაჰჩენების დაშდის მონიგოჰინგი. FAO-ს მხაჰდაჭეხით, საქაჰთვედოში ჩაგაჰდა კადიების მაჰთვასთან დაკავშირებული სწავდებები ჰეგიონის სპეციადისგებისთვის; გამოიცა პაქტიკუდი სახედმდღვანელოები; დაინეჰა კადიების ჰეგიონული პოგჰამა (GIS), ჰომედშიც აისახება ბენეფიციაჰი ქვეყნების მიეჰ კადიების წინააღმდეგ განხოჰციედებუდი ღონისძიებები და შედეგები, ჰაც ანადიზისა და ადეჰუდი პოგონოზიებას საშუადებას იდევა.

## სურსათის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებს ოქტომბრის ბოლომდე განახორციელებს



სურსათის ეროვნული სააგენტო აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებს წელსაც მასშტაბურად ახორციელებს. ბრძოლის ღონისძიებები რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. მავნებლის რიცხოვნობის განსაზღვრის მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა პირველადი მონიტორინგი საცხოვრებელი სახლების, მიტოვებული შენობებისა და საკარმიდამო ნაკვეთების ტერიტორიაზე. პირველადი მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით, აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრმა დასავლეთ საქართველოში ფერომონიანი დამჭერები ყველა რეგიონის ადმინისტრაციულ ერთეულში განათავსა.

მონიტორინგის საბოლოო შედეგების გათვალისწინებით, იმ ტერიტორიებზე, სადაც მავნებლის დიდი რაოდენობა დაფიქსირდა, განთავსდა 122 ათასზე მეტი სპეციალური სადგური და წამლობა საჭიროებისამებრ ჩატარდა. წინა წლების მსგავსად, ცივი შესხურებისა და თერმული ნისლის ტექნოლოგიების გამოყენებით დამუშავდა ტყის პერიმეტრები, სოფლების ტერიტორიები, სიმინდის მასივები, ჯაგნარები და სხვა ფართობები. დღეისათვის, სპეციალიზებული ტექნიკის გამოყენებით, თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავებულია 168 180 ჰა ფართობი, ცივი შესხურების მეთოდით - 96 057, 05 ჰა ფართობი.

შემოდგომის დადგომასთან ერთად, აზიური ფაროსანა ტყის მასივებიდან საცხოვრებელი სახლებისა და მიტოვებული შენობებისაკენ ინაცვლებს. გამოსაზამთრებლად მიგრირებული მავნებლის წინააღმდეგ უმნიშვნელოვანესია მოსახლეობის აქტიური ჩართულობა, რაც გულისხმობს სახლის პირობებში მექანიკური მეთოდების გამოყენებას.

მექანიკური ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია სურსათის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე.

ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრში დასავლეთ საქართველოს რეგიონების ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მოსახლეობასთან პერიოდულად იმართება შეხვედრები, რომელზეც ღონისძიებების წარმატებით განხორციელებისათვის გადასადგმელ ნაბიჯებს განიხილავენ.

ცენტრს მუშაობის სპეციფიკის გაცნობისა და მავნებელთან ბრძოლის გამოცდილების გაზიარების მიზნით ხშირად სტუმრობენ როგორც უცხოელი მეცნიერები, ასევე საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები.

ცენტრმა მაისში იტალიელ ენტომოლოგებს უმასპინძლა. სტუმრები გაეცნენ აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიასა და სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობას, ასევე მავნებლის ბიოლოგიას, მისი ბუნებრივი მტრის გამოვლენის მეთოდების კვლევით სამუშაოებს.



პარლამენტის აგრარულ საკითხთა, ევროპასთან ინტეგრაციის, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების ხელმძღვანელებმა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ კახა კაკაბაძემ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსთან ზურაბ ჩეკურაშვილთან ერთად დაათვალიერეს სპეციალიზებული ტექნიკა და აღჭურვილობა, რომლებიც მავნებელთან ბრძოლისთვის გამოიყენება; მოისმინეს ინფორმაცია იმ პესტიციდების შესახებ, რომლებსაც მართვის ცენტრის სპეციალისტები ცივი შესხურებით წამლობებისა და თერმული ნისლით ტერიტორიების დამუშავებისას იყენებენ.

ყურადღება გამახვილდა პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტების კონტროლზე; აღინიშნა, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორები სახელმწიფო კონტროლს წელსაც აღიარების მქონე ყველა სპეციალიზებულ მაღაზიაში განახორციელებენ და ლაბორატორიული კვლევისთვის 500-მდე ნიმუშს აიღებენ.

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გელა სამხარაულმა სურსათის ეროვნული სააგენტოს მუშაობა დადებითად შეაფასა და აღნიშნა, რომ მავნებელთან ბრძოლის შედეგად ზიანი მინიმუმამდეა დაყვანილი, რაც სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმატებული საქმიანობის შედეგია.

სურსათის ეროვნული სააგენტო, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებს ოქტომბრის ბოლომდე განახორციელებს.

## სურსათის ეროვნული სააგენტო ლაბორატორიული კვლევისთვის აგროქიმიკატებისა და პესტიციდების 500-მდე ნიმუშს აიღებს



თხილის წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული აგროქიმიკატებისა და პესტიციდების ყველა სარეალიზაციო ობიექტი ვალდებულია, განახორციელოს სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული პროდუქციის რეალიზაციის სისტემური აღრიცხვა და დაიცვას რეალიზაციის პირობები.

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა გიორგი იაკობაშვილმა და ზურაბ ლიპარტიამ თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამაში ჩართული სპეციალიზებული სარეალიზაციო ობიექტების კონტროლის მექანიზმები აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მართვის ცენტრში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე განიხილეს.

„აგროქიმიკატებისა და პესტიციდების სახეაღმშენებლო ობიექტების კონტროლის მექანიზმის სხუდყოფა მნიშვნელოვანია ხოგოხც თხილის წაჩმობის, ასევე, ფაქოსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების ეფექტიანობის გასაზხედად. თხილის დაზიანებას, ფაქოსანასთან ერთად, იწვევს სხვა მავნებელ-დაავადებებიც, რომელთა დამაჩხება შესაძლებელია ხაჩისხიანი ქიმიკატებით“, - განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ ზურაბ ლიპარტიამ.



აღსანიშნავია, რომ მეთხილე ფერმერებს პროგრამის ფარგლებში მიღებული ვაუჩერებით სარგებლობა შეუძლიათ ისეთ სარეალიზაციო ობიექტებში, რომელთაც მინიჭებული აქვთ სურსათის ეროვნული სააგენტოს აღიარება. გასული წლის მსგავსად, სააგენტოს ინსპექტორები სახელმწიფო კონტროლს წელსაც აღიარების მქონე ყველა სპეციალიზებულ მაღაზიაში განახორციელებენ; ლაბორატორიული კვლევისთვის დაგეგმილია 500-მდე ნიმუშის აღება.

თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მოქალაქეებისათვის გაიცემა სუბსიდია თხილის მოვლა-მოყვანისთვის საჭირო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესაძენად; სუბსიდიის მისაღებად, პირს საკუთრებაში ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში უნდა გააჩნდეს თხილის ბაღი, ჭამურად, არანაკლებ 0.2 ჰა, არაუმეტეს 3 ჰა. სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრება 500 ლარით 1 ჰა თხილის ბაღზე გადაანგარიშებით. სახელმწიფო პროგრამის მიზანია საქართველოში თხილის პირველადი წარმოების ხელშეწყობა თხილის ბაღების მესაკუთრეების სტიმულირების გზით.



**სსიპ სურსათის  
ეროვნული სააგენტო**



ცხელი  
ხაზი 15 01



[www.nfa.gov.ge](http://www.nfa.gov.ge)



მარშალ გელოვანის გამზირი 36 ა  
01-59, საქართველო, თბილისი